სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2018 წლის 10 მაისის №111/01-01 ბრძანებით გამოცხადებული და თსუ-ის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 26 ივნისის №149/2018 დადგენილების მესამე პუნქტით დამტკიცებული (ცვლილება 2018 წლის 18 ივნისის N153/2018 დადგენილებით) ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის (მარკეტინგის კათედრა) ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო კომისიის სხდომის

ოქმი №3

ქ. თბილისი

3 ივლისი 2018 წ.

სხდომას ესწრებოდნენ:

1. ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი ნინო ფარესაშვილი **(კომისიის თავმჯდომარე);**
2. ეკონომიკის დოქტორი, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი ბაბულია მღებრიშვილი **(კომისიის თავმჯდომარის მოადგილე);**
3. ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი რუსუდან სეთურიძე **(კომისიის მდივანი);**
4. ეკონომიკის დოქტორი, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი მერაბ ხოხობაია;
5. ბიზნესის მართვის დოქტორი, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი ნინო დამენია.

კომისიის სხდომაზე წევრთა გამოცხადების დამადასტურებელი ფურცელი თან ერთვის სხდომის ოქმს .

დღის წესრიგი:

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე თსუ-ის რექტორის 2018 წლის 10 მაისის №111/01-01 ბრძანებით გამოცხადებული ასისტენტ-პროფესორის (მარკეტინგის კათედრა) ვაკანტური აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის მიზნით ფარული კენჭისყრის ჩატარება და კონკურსის შედეგების შეჯამება.

კომისიის თავმჯდომარე ნ.ფარესაშვილი

მოისმინეს: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე თსუ-ის რექტორის 2018 წლის 10 მაისის №111/01-01 ბრძანებით ასისტენტ-პროფესორის (მარკეტინგის კათედრა) ვაკანტური აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის პრეტენდენტთა შეფასების ორი ეტაპის (საკონკურსო დოკუმენტაციის შემოწმება, გასაუბრება) გავლის შესახებ. კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ პროცედურების შესაბამისად ჩატარდა პრეტენდენტის შეფასების ორივე ეტაპი. მან განმარტა, რომ საკონკურსო კომისიის მიერ შედეგების გაანალიზებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე უნდა განხორციელდეს ფარული კენჭისყრა ვაკანტური აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის მიზნით.

მარკეტინგის კათედრაზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობდა 1(ერთი) კონკურსანტი. საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით პრეტენდენტის სტატუსი მიენიჭა 1 კონკურსანტს.

საკონკურსო კომისიის წევრები კიდევ ერთხელ გაეცნენ თსუ-ის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 22 დეკემბრის №118/2014 დადგენილების „სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის შესახებ“ დანართი №1-ით განსაზღვრული ხმის მიცემის პროცედურას.

თსუ-ში მოქმედი რეგულაციების თანახმად, ფარული კენჭისყრის ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით, საკონკურსო კომისიამ მოამზადა ბიულეტენები (თსუ აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული ფორმის მიხედვით, დანართი №5), რომელშიც აისახა შესაბამისი კათედრის მიხედვით საკონკურსო აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად არსებული პრეტენდენტის სახელი და გვარი. საკონკურსო კომისიის სხდომაზე ბიულეტენების სისწორე დადასტურდა კომისიის ყველა წევრის ხელმოწერით. დამატებითი ბიულეტენი არ დამზადებულა. საარჩევნო ყუთი კომისიის ყველა წევრის თანდასწრებით დაილუქა და ლუქი დამოწმდა კომისიის წევრთა ხელმოწერებით.

ფარულ კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო საკონკურსო კომისიის სხდომაზე დამსწრე ყველა წევრმა.

კენჭისყრის დასრულების შემდეგ დალუქული საარჩევნო ყუთი გახსნეს კომისიის წევრებმა და დათვალეს პრეტენდენტის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა.

ფარული კენჭისყრის შედეგები:

- **მარკეტინგის კათედრა**
  ასისტენტ-პროფესორი – 1 საშტატო ერთეული

  1. სეთური მაია – მიღებული ხმების რაოდენობა -5.

დაადგინეს: მარკეტინგის კათედრაზე გამარჯვებულად გამოცხადდა სეთური მაია.

პრეტენდენტის გამარჯვებულად გამოცხადების საფუძვლები:

მაია სეთური - მისი აქტივობა მაღალია, როგორც სასწავლო, ისე სამაცნიერო-კვლევითი მიმართულებით. იგი აქტიურად მონაწილეობს საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში და არის მარკეტინგის სფეროში მრავალი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. მას მნიშვნელოვანი სამუშაო აქვს ჩატარებული სასწავლო-მეთოდური საქმიანობის კუთხითაც (მომზადებული აქვს სახელმძღვანელოები, დამხმარე სახელმძღვანელო, სალეციო კურსები და რიდერები). მას მონაწილეობა აქვს მიღებული კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებში, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ. მ.სეთურმა გამოავლინა ლექციასა და სემინარულ-პრაქტიკულ მეცადინეობებზე გამოყენებული მეთოდებისა და მიდგომების სიღრმისეული ცოდნა. არის საერთაშორისო სამეცნიერო პუბლიკაციების ჟურნალის „ეკონომიკა და ბიზნესი" (ბულგარეთი) სარედაქციო საბჭოს წევრი, ასევე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული „მარკეტინგული კვლევის ცენტრის" ერთ-ერთი დამფუძნებელი.

დოკუმენტაციის შესწავლისა და გასაუბრების ეტაპების შედეგების შეჯერებით გამოიკვეთა, რომ მაია სეთური ხელს შეუწყობს ფაკულტეტის კვლევითი და სასწავლო პოტენციალის გაძლიერებას.

საკონკურსო კომისიამ, მ.სეთურის პედაგოგიური და სამეცნიერო-კვლევითი უნარ-ჩვევების გათვალისწინებით, მიიღო დადებითი გადაწყვეტილება მისი მარკეტინგის კათედრის ასისტენტ-პროფესორის ვაკანტური აკადემიური თანამდებობის დაკავების შესახებ.

- საკონკურსო კომისიის სხდომაზე დამსწრე ყველა წევრმა იმსჯელა მათ მიერ გაწეული სამუშაოს მოცულობის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 22 დეკემბრის №118/2014 დადგენილების „სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიან წესთან" შესაბამისობის შესახებ. დაადგინა, რომ გაწეული სამუშაო განხორციელდა მოქმედ რეგულაციებთან სრულ შესაბამისობაში.
- თსუ-ის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 22 დეკემბრის №118/2014 დადგენილების „სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის შესახებ" დანართი №1-ის მე-8 მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, შემაჯამებელი ოქმი გამოქვეყნდეს თსუ-ის ვებგვერდზე და განთავსდეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საინფორმაციო დაფაზე.

- თსუ-ის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 22 დეკემბრის №118/2014 დადგენილების „სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის შესახებ“ დანართი №1-ის მე-8 მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, შემაჯამებელი ოქმი ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე კომისიის მიერ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ადმინისტრაციის ხელშეწყობით და განთავსდება ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საინფორმაციო დაფაზე 2018 წლის 4 ივლისს.
- კონკურსანტს უფლება აქვს შემაჯამებელი ოქმის გამოქვეყნებიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში გაასაჩივროს კომისიის შემაჯამებელი ოქმი საკონკურსო-სააპელაციო კომისიაში. კანდიდატმა საჩივარი უნდა ჩააბაროს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კანცელარიაში. მისამართი: თბილისი 0186, უნივერსიტეტის ქუჩა №2 (კორპუსი X), ოთახი № 310.

კომისიის თავმჯდომარე: ნ. ფარესაშვილი /ნინო ფარესაშვილი/

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: ბ. მღებრიშვილი /ბაბულია მღებრიშვილი/

კომისიის მდივანი: /რუსუდან სეთურიძე/

კომისიის წევრები: /მერაბ ხოხობაია/

/ნინო დამენია/